



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1153

23 / აგვისტო / 2019 წ.



KA000000517441819

ქალაქ ფოთი, ლარნაკას ქუჩაზე შპს „ვესტ ჯგუფი“-ს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, 2019 წლის 20 აგვისტოს, მომართა (რეგისტრაციის N 01/6560) შპს „ვესტ ჯგუფი“-ს დირექტორმა და ითხოვა ქალაქ ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე (ს/კ N04.01.03.876) ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ შპს „ვესტ ჯგუფი“-ს მომართვა და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2009 წლის 24 მარტის, № 57 დადგენილების, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 15 იანვრის, № 59 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ამდენად, შესაძლებელია ქალაქ ფოთი, ლარნაკას ქუჩაზე შპს „ვესტ ჯგუფი“-ს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვის გაცემა.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, ქალაქ ფოთი, ლარნაკას ქუჩაზე (ს/კ N 04.01.03.876) შპს „ვესტ ჯგუფი“-ს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვა (თანახმად დანართისა) 2019 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 1 მაისამდე.
2. შპს „ვესტ ჯგუფი“-მა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2019 წლის 1 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, 2019 წლის 27 ივნისის, N MIA 5 19 01673111 წერილით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.
3. შპს „ვესტ ჯგუფი“-ს მიერ მე-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოდგენლობის შემთხვევაში ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდება.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის.ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

5. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ბრძანებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას გაეცნონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის №12).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

კონსტანტინე თოფურია